პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 154 (5184)

1974წ. 6 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისის „ზღვაზე."

თ. ქეიშვილის ფოტო.

## ცხენოსნებმა შეჯიბრება დაამთავრეს

4 აგვისტოს მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე ოთხ კილომეტრზე სტიპლ-ჩეზით დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში. მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად მიესალმა რსფსრ-ს „ეროჟაის" მხედარს ა. ევდოკიმოვს, რომელმაც 4000 მეტრზე 14 დაბრკოლების გადალახვას 4 წუთი და 37 წამი მოანდომა.

მრავალი წლის შესვენების შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში ჩართულმა სტიპლ-ჩეზმა მოლოდინი მთლიანად გაამართლა. 14 მონაწილიდან ძირითადად სამი ალექსანდრე — ევდოკიმოვი და ჩუგუევეცი იბრძოდნენ პირველობისთვის. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა სამჭიდში ევდოკიმოვმა მხოლოდ ბოლო დაბრკოლებაზე უფრო მარჯვედ გადალახა ბარიერი, რამაც მას ჩემპიონობა მოუტანა.

რამდენიმე საათით ადრე მოსკოვის გარეუბან ვატუტინკაში შეჯიბრება დაამთავრეს ახალგაზრდა ცხენებით მოასპარეზე სამჭიდელებმა. გაიმარჯვა მოსკოველმა არმიელმა ვ. ლანიუგინმა. იგი სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონია უფროსი ასაკის ცხენებით სამჭიდში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს „ეროჟაის" მხედრებმა.

კარლსტადი, 3 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში ვ. უილიამსმა 100 მეტრის გარბენას ზუსტად 10 წამი მოანდომა. 110 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული ჩ. ფორსტერის შედეგია 13,6. ასევე მაღალი შედეგი აჩვენა მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ფეიერბახმა (სამივე — აშშ) ბირთვის კვრაში — 21,34 მ.

ჰელსინკი, 3 აგვისტო. ოლიმპიურ სტადიონზე მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში ორმა ბადრის მტყორცნელმა [illegible] 65-მეტრიანი ზღვარი. ამერიკელი ჯ. პაუელის შედეგია 65,54, ხოლო მასპინძელი [illegible] 65,22.

სოფია, 3 აგვისტო. აქ, ვ. ლევსკის სტადიონზე, დაიწყო 33-ე ბალკანიადა. შეჯიბრების პირველ დღეს თავი გამოიჩინა მასპინძელმა მ. ვერგოვამ, რომელმაც ბადრო 68,48 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი ბულგარეთის ახალი რეკორდია. 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა რუმინელმა მ. სუმანმა, რომელმაც დისტანციის გავლას 1.58,6 მოანდომა. ეს შედეგი რუმინეთის ახალი რეკორდია და საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში. ვაჟთა შეჯიბრებაში იუგოსლაველმა ლ. სიუშანმა 800 მეტრზე რბენაში 1.45,7 აჩვენა. დ. ტიმანმა იუგოსლავიის რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 220 სმ.

ტალინი, 4 აგვისტო. მრავალჭიდის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ქალთა შორის იმარჯვა მოსკოველმა ზ. სპასოვხოდსკაიამ. მან ხუთჭიდის ჯამში 4.611 ქულა დააგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. გოგონებში ყველას აჯობა ასევე საბჭოთა სპორტსმენმა თ. რუკავიშნიკოვამ — 4.328. ათჭიდელ ვაჟებში ძლიერესი იყო ბ. ჯენერი (აშშ) — 8.308 ქულა.

## მძლეოსნურ მერიდიანებზე



მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. საბჭოთა სპორტსმენებისთვის ეს იყო მზადების ერთ-ერთი ეტაპი ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც რომში ჩატარდება 8-8 სექტემბერს.

* * *

სურათებზე: ზევით — ქალთა შეჯიბრება 3000 მეტრზე რბენაში. მარცხნივ — ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი ლ. ბრაგინა (კრასნოდარის „დინამო"). მისი შედეგია 9.05,0; მარჯვნივ — II ადგილზე გასული ი. ბონდარჩუკი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი") — 9.11,8; ქვევით — ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი ბირთვის კვრაში ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადის „სპარტაკი") — 21 მ, 14 სმ.

ვ. უნ და-სინის ფოტოები. (საკდესი).



● ვილნიუსი, 4 აგვისტო. ლიტვის დედაქალაქში გაიმართა ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატი კრიტერიუმში (ქალაქის ქუჩებში რბოლა). წარმატებით იასპარეზა კუიბიშეველმა სპორტსმენმა, 23 წლის ა. გუსიატნიკოვმა. გამარჯვებულს გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედალი.

● ვიში, 4 აგვისტო. გალეას თასის ფინალში (ევროპის იუნიორ ჩოგბურთელთა არაოფიციალური პირველობა) ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. პირველმა ნახევარფინალში დაამარცხა სსრ კავშირის გუნდი (4:1), ხოლო მეორემ — უნგრეთის კოლექტივი (3:2).

## ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. ჩოხელი გაათავისუფლა თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე.

## „ორლიონოკის" ბოლო სტარტები

მინსკი. რამდენიმე დღის წინათ მინსკის გარეუბანში საზეიმოდ დაიხურა საკავშირო კომკავშირული სამხედრო-სპორტული თამაშის — „ორლიონოკის" ფინალური შეჯიბრება. გაიმარჯვეს ლვოვის ოლქის ქალაქ ბუსკის მე-2 საშუალო სკოლის, ნოვოჩერკასკის ელექტრომექანიკური ტექნიკუმის, ბრესტის ოლქის დვორეცის საშუალო სკოლის რაზმებმა. მათ გადაეცათ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, თავდაცვის სამინისტროს, დოსააფის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პრიზები და თამაშის მთავარი შტაბის დიპლომები.

ხუთ დღეს გაგრძელდა ოსტატობისა და გაწვრთნილობის, კარგი დაწყობითი სამხედრო მომზადებისა და მოქნილობის დემონსტრაცია. მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრებას ესწრებოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. გაიმარჯვეს ქალაქ ბუსკის წარმომადგენლებმა. მათვე გაიყვეს I-II ადგილები ნოვოჩერკასკელ თანატოლებთან სამწყობრო მომზადებაში.

სამხედრო-სპორტული კომბინირებული ესტაფეტა ათ ეტაპს მოიცავდა. სულ 20 წამი — სანორმატივო დროზე ბევრად ნაკლები — დასჭირდა ირკუტსკელ ნორჩ არმიელ იაროვოის კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის დაშლისა და აწყობისთვის. ამ ავტომატით შეჯიბრებაში გორკის ოლქის წარმომადგენელმა ს. დანილოვმა რეკორდი დაამყარა, როცა ყველა ტყვია ათიანში მოარტყა. ქალაქ ჩიტის გუნდმა წინაღობათა ზოლის გადალახვას 2 წუთი და 47 წამი მოანდომა. ეს შედეგი თითქმის წუთით „სწრაფია" ნორმაზე.

ამ სახეობაში შეჯიბრების მონაწილეებს თვალყურს ადევნებდა ბელორუსიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ტრეტიაკი. მან ნორჩ არმიელებს ახალი წარმატებები უსურვა სწავლაში და სამხედრო-სპორტულ მომზადებაში.

ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს შრომითს დესანტში, რომელიც მინსკის რაიონის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა.

ფინალის მეხუთე დღე განგაშზე შეკრებით დაიწყო. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილზე სამხედრო-ტაქტიკურ თამაშში. ეს გამოცდა მათ წარმატებით ჩააბარეს.

შეჯიბრების დროს ბავშვებთან იყვნენ ამ თამაშის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი გ. ბერეგოვოი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ნოვოჟილოვა, სახელგანთქმული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის სექციის თავმჯდომარე მ. ჩეჩნევა, ომისა და შრომის ვეტერანები.

თამაშის დასკვნითს დღეს ბავშვებთან სტუმრად იყო ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. აქსიონოვი.

## რეკორდები

ნიუ იორკი, 4 აგვისტო. 14 წლის ავსტრალიელმა მოსწავლე გოგონამ ქ. ტურალმა კალიფორნიაში გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, როცა 1500-მეტრიანი დისტანციის გაცურვას 16.39,28 მოანდომა.

ლონდონი, 4 აგვისტო. აქ მოწყობილ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 22 წლის ინგლისელმა სტაიერმა ბ. ფოსტერმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 3000 მეტრზე მან 7.35,2 აჩვენა. წინა მიღწევა ბელგიელ ე. პუტემანსს ეკუთვნოდა.

# დარბაზში შემოდის შენი მოწაფე...

ბავშვი მოდის მწვრთნელთან, უფრო ხშირად მშობლების თანხლებით. იგი ურთიერთობას ამყარებს უკიდეგანო, დაძაბული რიტმითა და სიხალისით აღსავსე სამყაროსთან, რომელსაც სპორტული ცხოვრება ჰქვია. აქ, ამ სამყაროში, იგი ხელმეორედ სწავლობს სიარულს, მიმოხვრას, დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, ამ შემთხვევაში — მეგობარ-ამხანაგი სპორტსმენებისადმი. მისთვის ყველაფერი ახალია და უჩვეულო. მეორე სკოლა — აი, რა არის მისთვის სპორტული სამყარო; მეორე მასწავლებელი და მშობელი — აი, რა არის მისთვის მზრუნველი მწვრთნელი...

იგი გაფაციცებით ეძებს და პოულობს პასუხს უთვალავ კითხვაზე. იგი თითქოს მეორედ იდგამს ენას და მეორედ სწავლობს ანბანს, რა თქმა უნდა, სპორტული თვალსაზრისით. და მას ბოლოს და ბოლოს მწვრთნელისა უფრო სჯერა, ვიდრე საკუთარი თავისა. რამდენი რამაა საჭირო, რომ მისი ბავშვური ილუზიები ცხადად იქცეს, რომ მწვრთნელი მერეც, როცა მოზარდს დაემშვიდობება, კვლავ რჩებოდეს მოწაფისთვის საყვარელ, მისაბაძ ადამიანად. ასეა ხშირად.

მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა მაგალითებსაც ვხვდებით. ეს კი აუტანელია — მწვრთნელის გულგრილობას მოწაფეებისადმი, არასერიოზულ დამოკიდებულებას ყმაწვილი სპორტსმენებისადმი შანთითა და ცეცხლით უნდა ვებრძოლოთ. ბოლოს და ბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმე გვაქვს ჩვენი ცხოვრების ჯეჯილთან, როგორც ხატოვნად უწოდებენ მოზარდ თაობას.

ცდება, ძალიან ცდება ის, ვინც სპორტულ ცხოვრებას ცალმხრივად აღიქვამს, მასში მხოლოდ „კუნთების სიხარულსა" და ფიზიკური სრულყოფისკენ ლტოლვას ხედავს. სპორტი იძლევა განუზომლად მეტს. იგი ადამიანს უნერგავს უკეთილშობილეს და უძვირფასეს გრძნობებს, ისწავლის შრომისმოყვარეობას, გამტანობას, მიზანსწრაფვას, საქმისთვის ბოლომდე მიყოლას, თუ გნებავთ, ჯენტლმენობასაც. და თუ თქვენ ესა თუ ის სპორტსმენი არ მოგწონთ, არ ლებულობთ მისი ცხოვრების წესსა და დამოკიდებულებას სპორტულ-საზოგადოებრივი საქმიანობისადმი, ანდა ინტელექტის ნაკლებობას ამჩნევთ, იცოდეთ, ამაში მწვრთნელს მიუძღვის დიდი ბრალი. თუ სპორტსმენი ყოყოჩაა, ამპარტავანი, უხეში და უზრდელი, იცოდეთ, ამისთვის პასუხი მწვრთნელსაც უნდა მოვთხოვოთ.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის სპორტსმენთან მწვრთნელზე ახლოს, ვისთან ერთად მოგზაურობს და ათევს ღამეებს სპორტსმენი, ვისთან ერთად მონაწილეობს შეჯიბრებებში, ვისგან ლებულობს რჩევა-დარიგებას, თანაც არა მარტო სპორტულ საკითხებზე?

ძნელი ყოფილა მწვრთნელის პროფესია? ძალიან ძნელი, მაგრამ საპატიო და კეთილშობილური. აი, ამიტომაც ვამბობთ ხშირად, რომ ბევრი მწვრთნელი როდია ღირსი ატარებდეს აღმზრდელ-პედაგოგის სახელს.

ამას წინათ ერთ მშობელს ვესაუბრე. მის ოჯახს კარგად ვიცნობ. მოვიკითხეთ ერთმანეთი. შვილზე ჩამოვუგდე სიტყვა. სახე მოეღრუბლა, მერე კი მითხრა: არა, სწავლით კარგად სწავლობს, შინ სულ ფრიადები მოაქვს, აი, სპორტში კი დაბრკოლება შეხვდათ.

ჩემი მეგობრის 11 წლის ვაჟი თურმე მესამე წელია ცურვის სექციაშია ჩაწერილი. უკვე უფროსთა მეორე თანრიგიც შეუსრულებია, როგორც იტყვიან, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ თავისი ასაკის კვალობაზე ურიგო მოცურავე როდია, რაც მთავარია, გატაცებით უყვარს ეს სახეობა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მწვრთნელი ეუბნება ბავშვს, შენგან მოცურავე არ გამოვაო, თანაც აშკარად აგრძნობინებს, სექციაში შენი სიარული მიზანშეწონილი არ არისო. მწვრთნელი თურმე გულისხმობდა, რომ ეს ბავშვი ჩემპიონი და პრიზიორი ვერ გახდებოდა.

ძნელია, უფრო არაპედაგოგიური საქციელის წარმოდგენა. ჯერ ერთი, ბავშვთა ჯგუფებში რა ჩემპიონობისთვის უნდა ემზადებოდნენ. მეორეც, გინდაც ასე იყოს, ჩვენი სპორტი, კერძოდ მოზარდთა სპორტი, მარტო მედლებისა და ტიტულებისთვის როდი არსებობს, მას გაცილებით დიდი, ყველასთვის ნათელი მისია აკისრია. ან ვითომ გულთმისანი გვყავდა ბედოვლათი მწვრთნელი, რომ თითისტოლა ყმაწვილს ამთავითვე უიმედო დიაგნოზი დაუსვა? უკეთესი ხომ არ იქნებოდა, თუ კი ნაკლი რამ შენიშნა მოწაფეში, მისი გამოსწორებისთვის ეზრუნა? მაგრამ ამას, ჩემო ბატონო, შრომა უნდა, ოფლის ღვრა უნდა...

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები იშვიათად როდი გვხვდება. რაღა შორს მივდივართ, სპორტულ სარბიელზე გამოსვლების დროს ხშირად მეც შევსწრებივარ მსგავს ამბებს. ვინ იცის, ასეთი ამბების შედეგად ჩვენმა სპორტმა რამდენი შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული სპორტსმენი დაკარგა, რომელთა სპორტული გზა დასაწყისიდანვე თა-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. მერე რა, განა სპორტში უთვალავი შემთხვევა არ იცის, როცა ესა თუ ის ნორჩი სპორტსმენი თავიდან თანატოლებში არ გამოირჩევა, მაგრამ შემდეგ მათზე ბევრად უკეთეს შედეგებს აღწევს?

მაგონდება მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავის მარკ რაკიტას სპორტული გზა. მწვრთნელები მას აღმაცერად უყურებდნენ, დიდი სპორტისთვის აშკარად შეუფერებლად მიაჩნდათ, რომ იტყვიან, არ ახარებდნენ. საბედნიეროდ, ერთი შეხედვით მოუქნელ და ზოზინა ყმაწვილს უდიდესი მოთმინება და შეუპოვრობა აღმოაჩნდა. ნიჭმა და, უნდა ითქვას, კაშკაშა ნიჭმა ყველა დაბრკოლება გადალახა, რაკიტამ დაუმტკიცა ყველას და პირველ ყოვლისა თავის ურწმუნო მწვრთნელებს, რომ შრომისმოყვარეობის გარდა ჰქონდა უდიდესი პოტენცია. რაკიტას სახელი ათეული წლების მანძილზე არ მოშორებია ოლიმპიადებში და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულთა სიას. მაგრამ ეს იყო რაკიტა, რომელშიც ბრძოლისუნარიანობა იმთავითვე ერთობ განვითარებული გახლდათ. რა ქნან იმ ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებიც მოკლებული არიან დამოუკიდებელი მოქმედებისა და ბრძოლის უნარს? მათ უნდა დატოვონ იმ ჩვენი 11 წლის ყმაწვილივით სპორტი ისე, რომ ვერავითარი კვალი ვერ დაატყონ მას. სიბეცეა? დიახ, ეს არის მიუტევებელი სიბეცე მწვრთნელისა, რომელიც ბოროტად სარგებლობს თავისი უფლებამოსილებით.

რა მოხდებოდა, ქართულ სპორტში რომ არ ყოფილიყვნენ ნუგზარ ასათიანი, თეიმურაზ კაკულია, მიხეილ ბოგუსი, მორის სახვაძე, ანატოლი მოშიაშვილი და სხვა გამოჩენილი სპორტსმენები? უთუოდ ბევრს დავკარგავდით. ეს სპორტსმენები დასაწყისიდან ვე როდი ბრწყინავდნენ უფრო ადრე მომწიფებულ, ჩამოყალიბებულ თანატოლებთან შედარებით. პირიქით, ძალიანაც უჭირდათ, მაგრამ მათმა ბრძოლისუნარიანობამ და მწვრთნელთა გულისხმიერებამ ხელი შეუწყო მიმალული ნიჭის გაფურჩქვნას.

[illegible]ბდება: ამ რამდენიმე დღის წინ ვაკის [illegible] ...ილოვან ხეივნებში, ბავშვები თამაშობდნენ. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ქერათმიანმა, ცისფერთვალა, ხმელ-ხმელმა, მაგრამ მკვრივი აგებულების ბიჭუნამ. ასე 10-11 წლისა იქნებოდა. გამოვეცნაურე და ჩემდა სასიხარულოდ პატარა ირაკლი ცნობილი მოფარიკავის ოთარ კიკალეიშვილის ვაჟი აღმოჩნდა. ვკითხე, სპორტი თუ გიყვარს-მეთქი. ჯერ გაოცებულმა შემომხედა, მერე კი მიპასუხა: როგორ არა, მოცურავე ვარო. პატარა ირაკლი გატაცებით მიყვებოდა თავის მეგობარ მოცურავეებზე, მწვრთნელზე. ერთი სიტყვით, დავრწმუნდი, რომ იგი უკვე ცურვით იყო „მოწამლული". მერე მამამისმაც მიამბო: მწვრთნელმა ჯონდო მაჭარაშვილმა ძალზე შეაყვარა ბავშვს ცურვა, ხოლო მე მთხოვა, არავითარ შემთხვევაში თქვენმა ვაჟმა ამ სახეობას თავი არ დაანებოსო, საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს, მომავალში შეიძლება სახელოვანი სპორტსმენიც დადგეს, თუ არა და, დღევანდელი ვარჯიში და მეცადინეობა უკვალოდ მაინც არ ჩაივლისო.

ჯერ არავინ იცის, მომავალში როგორი მოცურავე იქნება ირაკლი კიკალეიშვილი, ეს მის შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთი კი ცხადია: მწვრთნელმა ნორჩი დააინტერესა, სპორტი შეაყვარა.

ბავშვი მორიდებით აღებს სპორტული დარბაზის კარს. მწვრთნელი ყურადღებით აკვირდება მომავალ მოწაფეს. ამ წუთიდან ისინი ერთად გაუყვებიან გრძელ, რთულ და მომქანცველ გზას, რომელსაც სპორტული ცხოვრება ჰქვია. დაკარგავენ თუ არა ისინი ერთმანეთს, გზა აერევათ თუ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწევენ? ყოველივე ეს დასაწყისში საიდუმლოებითაა მოცული. თუ ბავშვი ამ გზაზე წაიფორხილებს, მწვრთნელმა იგი ფეხზე უნდა დააყენოს და გაამხნეოს.

ყურადღება, მწვრთნელო! დარბაზში შემოდის შენი მომავალი მოწაფე!

ა. გოგელია.

# ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს

ყველასთვის ცნობილია ცხენოსნობის ეროვნულ სახეობათა ტრადიციების სადღეისო მდგომარეობა ჩვენში. აქაც აშკარად ჩამოვრჩით და არც კლასიკურ სახეობებში ვბრწყინავთ, ვინაიდან უმთავრესად ეროვნული ცხენოსნობა ავსებს და ამდიდრებს კლასიკურს.

თავის დროზე იყო იმის იმედი, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილება „რესპუბლიკაში ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების აღდგენისა და საცხენოსნო სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ" სასურველ ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ წასული წლების მანკიერი ატმოსფერო მასაც ურდულად დაედო და დადგენილება კონკრეტულ საქმემდე ვერ მივიდა.

ერთეული ენთუზიასტები, როგორც ყოველთვის, აქაც გამოჩნდნენ. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სპორტის თავგამოდებული ქომაგი, ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ყურშუბაძე, რომელმაც ნამდვილი პრინციპულობა გამოიჩინა და აჭარის ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად შესანიშნავი სპორტული ცხენი „ფლანგი" შეიძინა მოსკოვის ერთ-ერთ სპორტულ კლუბში. ყურშუბაძე ერთადერთი კაცი აღმოჩნდა მთელს აჭარაში, რომელმაც დადგენილების შესრულება „გაბედა". სხვებს არც უცდიათ ჩაისუბნელებისთვის მიებაძათ და ამიტომ, როგორც ქვემოთ ნახავთ, აჭარაში საკოლმეურნეობათშორისო საცხენოსნო სპორტული კლუბის შექმნას ბედი არ ეწერა. ერთმა მერცხალმა ვერც აჭარაში მოიყვანა გაზაფხული. იდეა იმთავითვე ჩაიშალა და იქიდან მოყოლებული ჩაისუბნელებსაც სანანებლად გაუხდათ „წინდაუხედავი" ნაბიჯის გადადგმა. შერჩა კოლმეურნეობას მაღალი, ლამაზად ფაფარაყრილი, შესანიშნავი ულაყი. დაამეს იგი ბოსელში მეწველი ძროხების გვერდით და გადაიქცა მერანი... ნუქთახორად.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რა არ იღონა, ვის არ მიაკითხა, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით შეძენილ „ფლანგს" ვერა და ვერ გამოუნახა საქმე. ახლაც დადის ყურშუბაძე და იმუდარება — მიშველეთ რამე, ცხენის შენახვას ერთი მეწველი ძროხის მოვლა მიჯობს, სარგებელს მაინც ვნახავთო. არა და „ფლანგი", სანამ ჯერ კიდევ მადაზეა, მუსრს ავლებს ძროხებისთვის განკუთვნილ საკვებს. ცნობისთვის ვიტყვით: „ფლანგში" თავის დროზე 4 ათასი მანეთი გადაიხადეს, ალბათ კიდევ ამდენივე შეეწირა მის მოვლა-პატრონობას.

არ იფიქროთ, პირუტყვს ვინმე საკვებს ამადლიდეს. პირიქით, ულმერთობაც იქნებოდა ამ გონიერი ცხოველისთვის ულუფა რომ შეემცირებინათ. რაც მართალია, მართალია, მზრუნველობა მას არ აკლია, მაგრამ თავის დროზე დააკლდა ის, რაც ბუნებამ დაამადლა: სილაღე და ნავარდი. თოხარიკსა და ნავარდს ვიღა ჩივის, ბოლოს საბრალო მერანს გამსეირნებელიც აღარავინ გამოუჩნდა. ფეხი დაუჩირქდა და ეს მისთვის საბედისწერო გამოდგა. ამ ცოტა ხნის წინათ კოლმეურნეობაში სპეციალური კომისია მოუწვევიათ, რომელმაც „ფლანგი" სპორტისთვის უვარგისად მიიჩნია, ასეთმა დასკვნამ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი სხვა კლუბებზე ამ ცხენის გაყიდვის შესაძლებლობას. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ კლუბს 3.500 მანეთი შეუძლევია „ფლანგის" საფასურად, მაგრამ ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელებს უარი უთქვამთ, 4 ათასს, გაწეულ ხარჯებს კაპიკი არ დააკლდებაო. ჩაისუბნის კოლმეურნეობის გამგეობას, ცხადია, სულაც არ აკმაყოფილებს ვეტერინარების დასკვნა. მას უფრო კონკრეტული პასუხი სურს, უნდა ჩამოწეროს და თავიდან მოიშოროს პირუტყვი, რომელიც ახლა აღარავის სჭირდება.

ასე ჩავარდნენ ჩაისუბნელები გამოუვალ მდგომარეობაში იმის გამო, რომ აჭარაში საცხენოსნო სპორტის აღდგენის თაობაზე მიღებული კეთილი დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ამბობენ, ცხენს ადამიანის ენა ესმისო. თუ ასეა, ადამიანებს სულაც არა აქვთ უფლება ნაჩქარევად იმოქმედონ „ფლანგის" ბედიღბლის გადაწყვეტაში.

თ. ბაჩიჩილაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. ჩაისუბანი,
ქობულეთის რაიონი.



# პრეზიდენტი იერიშისთვის ემზადება

შარშან შემოდგომაზე, როცა თბილისში ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის (უიაა) გენერალური ასამბლეა მოეწყო, ყველას ყურადღებას იპყრობდა ხანში შესული, მაგრამ წელში გამართული, მხრებგაშლილი ჭარმაგი კაცი, შვეიცარიელი ფიზიკის პროფესორი ჟან ჟიუჟი. იგი 66 წლისაა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, დღემდე მოქმედი მთამსვლელია. მართალი გითხრათ, მაშინ გვეგონა, რომ ამ ხნის კაცი მხოლოდ საშუალო სირთულისა და სიმაღლის მწვერვალებზე თუ გაბედავდა იერიშის მიტანას. მაგრამ ახლა მივიღეთ ცნობა, რომ პრეზიდენტი პამირის მაღალმთიან საერთაშორისო ბანაკს ეწვია და ლენინის პიკის დალაშქვრა აქვს განზრახული. შეგახსენებთ, რომ ლენინის პიკი ერთ-ერთია იმ ოთხი 7000-მეტრიანი მწვერვალიდან, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

სხვათა შორის, პამირის საერთაშორისო ბანაკმა პირველად წლეულს გაუღო კარი უცხოელ მთამსვლელებს. ბანაკის ამოცანები და პერსპექტივები უცხოელებს სწორედ თბილისში გამართულ ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალურ ასამბლეაზე გააცნო სსრ კავშირის მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ბოროვიკოვმა.

— ასამბლეის მსვლელობისას მინდოდა წამოვმდგარიყავი და აღტაცებულს მთელი ხმით მეყვირა: „ალპინისტებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ეს ჩემი ლოზუნგია, — გვითხრა მაშინ უიაა-ს ბიულეტენის რედაქტორმა გვიდო ტონელამ (შვეიცარია).

პამირის საერთაშორისო ბანაკში რედაქტორის სურვილს ფრთები ესხმება.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — ჟ. ტონელა, ჟ. ჟიუჟი და ა. ბოროვიკოვი ყაზბეგში.

ავტორის ფოტო.

# ლეიკ-პლესიდი—1980

ოტავა, 3 აგვისტო. როგორც ცნობილია, 1980 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებდა ორი ქალაქი — კანადის ვანკუვერი და აშშ-ს ლეიკ-პლესიდი. აქ ცნობილი გახდა, რომ ვანკუვერმა უარი თქვა მსოფლიოს სპორტსმენთა ფორუმის მასპინძლობაზე. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ხელისუფლებმა მხარი არ დაუჭირეს ვანკუვერის კანდიდატურას — უარი განაცხადეს ოლიმპიურ ნაგებობათა აშენებისთვის თანხის გამოყოფაზე.

ახლა დარჩა ერთი კანდიდატი — ლეიკ-პლესიდი, რომელიც უკვე შეუდგა თეთრი ოლიმპიადისთვის მზადებას. შეგახსენებთ, რომ აშშ-ს ამ ქალაქში ერთხელ უკვე ჩატარდა ზამთრის ოლიმპიადა. ეს იყო 1932 წელს.




ბ. ქორქია,

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი მსოფლიოს X ჩემპიონატზე

# ახალი ერა

ახლა ვილაპარაკოთ წაგებულებზე. რა დარჩათ ფინალში წაგებულებს მოოქროვილი მედლების გარდა?

ბევრი რამ! დიდება და სახელი, საყოველთაო სიმპათია და თანაგრძნობა და, რაც მთავარია, — ახლის მთქმელთა, ნოვატორთა, პროგრესული თამაშის ფუძემდებელთა მაღალი პრესტიჟი. საკუთარი შეხედულებებით რომ არ შეგაწყინოთ თავი, მოვიყვან ცნობილ სპეციალისტთა აზრს ვიცე-ჩემპიონებზე — ჰოლანდიელებზე:

ჰ. შიონი (გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი): „დღეს მე ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ, ვინაიდან ჩემპიონობა ჩვენ გვხვდა წილად, მაგრამ ფინალურმა მატჩმა მოახდინა თანამედროვე ფეხბურთის ყველა მიღწევათა დემონსტრაცია და ჰოლანდიელთა გუნდმა აქ თავისი ბრწყინვალე სიტყვა თქვა. მათ მიერ შემუშავებული შეტევის, კონტრშეტევისა თუ დაცვის მეთოდები შორს ცდება დღევანდელობის, მხოლოდ ერთი შეჯიბრების ფარგლებს. ჰოლანდიელთა თამაში ფეხბურთის ხვალინდელი დღეა".

ჟ. ფერანი (ფრანგული „ეკიპის" მიმომხილველი): „ჰოლანდიელები უფრო ეფექტურად, ლამაზად, სანახაობრივად თამაშობდნენ, თუმცა დაივიწყეს, რომ გფრ-ის ნაკრები საკუთარ შესაძლებლობებს ყველაზე უფრო ავლენს სწორედ ურთულეს და გადამწყვეტ მატჩებში. ბეკენბაუერი და მისი მეგობრები აღსავსენი აღმოჩნდნენ ენერგიის მარაგით".

ნ. ლიდჰოლმი (იტალიის „რომას" მწვრთნელი, წარსულში ცნობილი შვედი ფეხბურთელი): „გფრ-მ დაიმსახურა გამარჯვება, მაგრამ საკუთარი აზრი გულახდილად რომ მოგახსენოთ, ძალიან მწყინს ჰოლანდიელთა წაგება. სულ მქონდა იმის იმედი, რომ ისინი აგერ, აგერ გაიტანდნენ მეორე ბურთს და მთელს მსოფლიოს მიეცემოდა საშუალება კიდევ 30 წუთი ეცქირა ამ ჩინებული სპექტაკლისთვის, ენახა უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი".

ე. ერიქსონი (შვეციის ნაკრების მწვრთნელი): „ფინალს არ ჰყავდა დამარცხებული, აქ იყო ორი გამარჯვებული. ყველაზე დიდი, ყველაზე ძვირფასი გამარჯვება მოიპოვა ნამდვილმა ფეხბურთმა, იმის მიუხედავად, თუ რომელ მხარეს გაქქონდა ბურთები. ვულოცავ ყველას და ვნაღვლობ მათთან ერთად, ვინც წაგება განიცადა. ყოველმხრივი საუკეთესო მზადყოფნა, გაერთიანებული მოთამაშეთა ინტელექტით — სწორედ ესაა თანამედროვე ფეხბურთის უმაღლესი დონის შემადგენელი ნაწილები".

ვ. კაპასიონი (არგენტინელი სპეციალისტი): „ჰოლანდიამ გფრ-ში აჩვენა ის ფეხბურთი, რომელსაც, ბევრის აზრით, ითამაშებენ მხოლოდ მე-2000 წელს. ჰოლანდიელებს უნდა გაემარჯვათ, ვინაიდან მათი გუნდი საუკეთესო იყო ტურნირში".

ვ. კაპი (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი): „ჩემი სიმპათიები ჰოლანდიელთა მხარეს იყო, არა მარტო მათი მაღალი ოსტატობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ გვაჩვენეს უბურთოდ თამაშის თვალსაჩინო სისტემა. ამ გუნდის ყველა მოთამაშე, როგორც ერთი, ისე მოქმედებს თამაშის ნებისმიერ ფუნქციურ სტადიაში. მათ შეუძლიათ ათივე ფეხბურთელის შემადგენლობით შეუტიონ და ასევე ათივემ დაიცვას თავი. ჰოლანდიელებს სულაც არ წაუგიათ იმის გამო, რომ არ დააფასეს მოწინააღმდეგე და ზედმეტად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობანი. უბრალოდ, ასეთია ფეხბურთი".

მ. ზაგალო (ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი): „მე მიმაჩნია, რომ მაგალითი უნდა ავიღოთ და ბევრი რამ გადმოვიღოთ ჰოლანდიელთაგან. ამ ქვეყნის ნაკრები ყველაზე მაღალი კლასის იყო და მის რიგებში გამოდიოდა საუკეთესო ფეხბურთელი — კრუიფი, რომელიც საკუთარი ინდივიდუალობის გამოჩენას და პირად ინტერესებს ამჯობინებს იყოს ჰოლანდიის საფეხბურთო მანქანის ნაწილი. ჩვენ ვნახეთ ყველაფერი ' ეს, დავრწმუნდით და შევაფასეთ. აი, ამიტომ აგვყავს ეს გუნდი ყველას ასე მაღლა".

ვგონებ, საკმარისია, არა? ეს იმის უბრალო კონსტატაცია კი არაა, რომ ჰოლანდიელებმა თავიანთი ფეხბურთის ისტორიაში არნახულ წარმატებას მიაღწიეს და II ადგილზე გავიდნენ, არამედ დამსახურებული ქება-დიდება გუნდისა, რომელიც ახალ ფურცელს შლის ამ თამაშის განვითარებაში, რევოლუციას ქმნის და ახლა, ასე ადრე ხატავს იმ ფეხბურთის კონტურებს, რომელიც XXI საუკუნეში იქნება. მსოფლიო ჩემპიონობას ვიღაცა ყოველთვის ეუფლება, ახალ სიტყვას კი მხოლოდ რჩეულთა რჩეულნი ამბობენ.

მაშ ასე: დგება ახალი ფეხბურთის ერა. უწინდელი კალამბური იმის თაობაზე, რომ იმარჯვებენ არა ვარსკვლავები, არამედ ვარსკვლავი გუნდი, სერიოზულ, საქმიან პროგრამად იქცა. მაღალი კლასის გუნდად ახლა ჩაითვლება მხოლოდ ის, ვისაც არ გააჩნია სუსტი ადგილი, ჩამორჩენილი რგოლი, ვინც არაა დამოკიდებული სუპერ-ფეხბურთელების გუნება-განწყობაზე, კაპრიზებზე, გნებავთ — ფორმაზეც. თანამედროვე გუნდი, ესაა მთლიანი, ერთიანი მექანიზმი, სადაც თითოეულ დეტალს ან კვანძს გარკვეული დანიშნულება აქვს. იგი მუშაობს სხვა დეტალებთან ერთად, სინქრონულად, გაანგარიშებულად, მისი გაჩერება არ შეიძლება, ვინაიდან ეს მექანიზმი ერთიანად მოძრაობს და თუ რომელიმე ნაწილი დისონანსზე გადავიდა, მას, უბრალოდ, ცვლიან. სწორედ ამით გამოირჩეოდნენ გფრ-ის, ჰოლანდიის, პოლონეთის გუნდები. ჰ. შიონს, რ. მიხელსს, კ. გურსკის არა მარტო მწვრთნელის, გარკვეული მექანიკოსების როლიც ეკუთვნით, რომლებსაც ზედმიწევნით ესმით მოტორის მუშაობის რიტმი. შემადგენლობის განსაზღვრისას მათ არა აქვთ შეუცვლელი მოთამაშის რთული პრობლემები, რეზერვები არა მარტო დეტალების, მთელი ბლოკის შეცვლის საშუალებას იძლევიან.

რა თქმა უნდა, უბრწყინვალეს მოთამაშეთა როლი მუდამ დიდი იყო, არის და დარჩება ფეხბურთში. ღმერთმა არ ქნას, რომ ეს თამაში დავიდეს ნიველირებული, საშუალო ხარისხის ფეხბურთელთა მექანიკურ შეერთებამდე. პელე მუდამ პელეა, ბეკენბაუერი — ბეკენბაუერი და კრუიფი — კრუიფი, მაგრამ ყველა ისინი უპირველესად კოლექტივს უნდა ემსახურებოდნენ, მის სქემაში იყვნენ ზუსტად მორგებული და შერწყმული.

თანამედროვე ფეხბურთის მთავარი, მაგისტრალური განვითარების ხაზია შეტევა. ის პერიოდი, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ფეხმოკიდებულმა დაცვითმა ტენდენციებმა საერთაშორისო გავრცელება ჰპოვა, განსაკუთრებით საკლუბო დონეზე, წარსულს ჩაბარდა და სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო. საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტები და მწვრთნელები მაშინვე, ფეხბურთის იმ „შავბნელ" პერიოდში ამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლება დიდხანს იბოგინონ დაცვითმა იდეებმა, რომ ეს ეწინააღმდეგება თვით ფეხბურთის არსს, მის მდიდარ შესაძლებლობებს. ფეხბურთის აზრი, მთავარი დანიშნულება, მისი სილამაზე არის მეტოქის კარის იერიში და არა საკუთარის დაცვა, ამიტომ დიდი მადლობა მათ, ვინც უმკურნალა ფეხბურთს, მოარჩინა იგი დაცვითი დაავადებისგან და დაუბრუნა ნორმალური სახე.

ეს ექიმები, ჩემი აზრით, ბრაზილიელები იყვნენ, რომლებმაც 1970 წელს, მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატში, დაამსხვრიეს მოწინააღმდეგეთა დაცვითი ბასტიონები, ყველას თვალნათლივ დაანახეს, რომ ბედი მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე უნდა ეძიო და არა საკუთარზე, და დროებით უკუღმა შებრუნებული ფეხბურთის მატარებელი ისევ სწორი ლიანდაგებით გაამგზავრეს წინ, პროგრესის გზით. მერე ევროპელები მოვიდნენ გონს, ისინიც დაუბრუნდნენ პროგრესის ამ გზას და ახლა, როგორც ხედავთ, კვლავ სათავეში მოექცნენ მოწინავე საფეხბურთო მოძრაობას.

რახან 1970 წელი და ბრაზილიის მაშინდელი გუნდი ვახსენეთ, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა შემდგომ ამბავზე:

რამდენიმე კაცთან, ფეხბურთის კარგ მცოდნესთან, დავა მქონდა იმის თაობაზე, თუ რომელი ფინალური მატჩი ჯობდა — 1970 წლისა ბრაზილიის და იტალიის გუნდებს შორის, თუ ახლანდელი, გფრ — ჰოლანდია. ოპონენტები მიმტკიცებენ, ის მატჩი და ის ჩემპიონი ჯობდაო ახლანდელს. მე არ ვეთანხმები, დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი ფინალი უფრო შინაარსიანი, ღრმა და სოლიდური იყო.

მკითხავთ, რა არგუმენტები მაქვს საამისოდ? მაქვს, როგორ არა მაქვს!

1970 წლის ფინალი ერთი გუნდის ფინალი იყო — ბრაზილიისა. იტალიელები მხოლოდ ფონს წარმოადგენდნენ ბრაზილიელთა წინაშე, ვერაფერს ახერხებდნენ მათი იერიშების საპირისპიროდ, თმობდნენ ყველა რგოლში, მინდვრის ყველა ნაწილში და ანგარიში 4:1 სულ იოლად შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო. იქ პელე ბატონობდა. იტალიელთა გამოცდილი მცველი ფაკეტიც კი ვერ მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა ძაირზინიოს წამით დატოვება, ვინაიდან პელე სულ იმის ცდაში იყო თავისთან გამოეტყუებინა ფაკეტი და მერე ჟაირზინიოსთვის ზედ ფეხის წვერზე დაესვა ბურთი ცარიელი კარის წინ. შეიძლება მიხვდა კიდეც, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

1974 წლის 7 ივლისის ფინალი კი უმაღლესი კლასის ორი თანაბარძალოვანი, ბრწყინვალე კლასის გუნდის, დიდი საფეხბურთო იდეების შეტაკება იყო, სადაც ერთ მხარეს არ შეეძლო ასე იოლად და ხელაღებით დაემარცხებინა მეორე, თავს მოეხვია მისთვის საკუთარი ნება-სურვილი. ეს ბრძოლა უფრო ღრმააზროვანი და მასშტაბური გამოდგა. ბრაზილიელთა გამარჯვება იტალიელებზე ელემენტარულ ჭეშმარიტებას, აქსიომას წარმოადგენდა და არც ბევრ კომენტარს საჭიროებდა, ხოლო ახლანდელი ფინალის გარშემო ჯერ კიდევ ბევრი რამ დაიწერება და ითქმება, მისი გაკვეთილები ძალზე სასარგებლო და ამავე დროს — სადისკუსიოა.

თანამედროვე საფეხბურთო აზროვნებამ, ტაქტიკურმა პროგრესმა, ტექნიკურმა ოსტატობამ, თამაშის დინამიზმმა ისეთ დონეს მიაღწია, ძნელი წარმოსადგენიცაა, მომავალში რა გზით უნდა წარიმართოს საერთო პროგრესი, რა გზები გამოინახოს ახალი სიტყვის სათქმელად. დღეს საფეხბურთო თემატიკაში სულ უფრო ხშირად ვხვდებით ტერმინებს — ტოტალური ფეხბურთი, მოთამაშეთა უნივერსალიზმი, თამაშის წარმოების ხერხების უნიფიკაცია და სხვ. ეს არაა ლიტონი სიტყვები. ადრინდელი წარმოდგენები როგორც ფეხბურთზე საერთოდ, ისე ცალკეულ რგოლებზე და მოთამაშეებზე კონკრეტულად, შეიცვალა და ამ ცვლილებებს ყველაზე უფრო დასრულებული, ეტალონრივი სახით მსოფლიო ჩემპიონატებზე ვხვდებით. ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი შორს სცდება მარტოოდენ დიდი შეჯიბრების ფარგლებს, სადაც საფეხბურთო იერარქია მტკიცდება ყოველი მომავალი 4 წლისთვის. აქ ვლინდება ახალი მიმართულებანი, ახალი იდეები, გნებავთ — მოდა, კანონები. საფეხბურთო გემოვნება იცვლება, სისტემატურ სრულყოფას განიცდის, იგი ყველაზე უფრო აზიზ გურმანებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

ფეხბურთი უაღრესად რაციონალური, სწრაფი და ამავე დროს ულმობელი, პრაქტიკული გახდა. ულამაზესი ფინტების კასკადს ახლა ხშირად ცვლის ერთი სწორი და ლოგიკური, დროული და სასარგებლო პასი. არ შეიძლება დააყოვნო გადაცემა, როცა შენი პარტნიორი გაიხსნა უფრო მომგებიან და სახიფათო პოზიციაში. ბურთის გაჩერება ამ დროს შეცდომაა, მეტიც — დანაშაული. ეგოიზმი პირველზე პირველი ცოდვაა ახლანდელ ფეხბურთში.

ვიწრო სპეციალიზაცია, როცა ყოველ მოთამაშეს გარკვეული, ლოკალური ფუნქციები ეკისრებოდა, გზას უთმობს უნივერსალიზმს. ახლა საკმარისი არაა იყო მხოლოდ, ვთქვათ, პირველხარისხოვანი გარემარბი და შენს ფლანგზე უცადო, როდის მოგიწევს თამაშში ჩაბმის რიგი, როდის გადმოგცემენ ბურთს. ეს არ აკმაყოფილებს გუნდს. გარემარბმა თავისი აუცილებელი მაღალი სპეციფიკური თვისების გარდა ბევრი რამ სხვაც უნდა გამოავლინოს, თავის პროგრამაში ჩართოს აქტიური საერთო ურთიერთმოქმედება პარტნიორებთან, დაიხიოს უკან, გადაინაცვლოს ცენტრში, მინდვრის შუაგულში, ყოველ წამს მზად იყოს ბურთის მისაღებად, კომბინაციაში ჩასართველად, თანაც როცა აღმოჩნდება სხვა ზონაში, მაგალითად, ნახევარდაცვაში, ზედმიწევნით ზუსტად, უშეცდომოდ უნდა შეასრულოს ნახევარმცველის ამპლუა. გერმანელ მიულერს გოლების გასატან მანქანას უწოდებენ, მე კი მახსოვს ერთ-ერთ მატჩში, თითქმის მთელი ტაიმის მანძილზე, როგორ ასრულებდა იგი მცველის მოვალეობას, როცა მისი გუნდი იგებდა და საჭირო იყო ანგარიშის შენარჩუნება. მიულერმა ამ შემთხვევაში ფეხბურთელის სწორედ ის უნივერსალური უნარი გამოავლინა, რომელზეც ზევით გვქონდა საუბარი. ჰოლანდიელი თავდამსხმელი რეპი ისეთი მასშტაბის და მოცულობის სამუშაოს ასრულებს თამაშის დროს, რომ საერთოდ ძნელია შემოფარგლო რაიმე გარკვეული საზომით მისი მოქმედების სასარგებლო კოეფიციენტი. იგი უნივერსალია ამ სიტყვის სრული გაგებით, ერთნაირად ძლიერად, კვალიფიციურად შეუძლია სხვადასხვა საქმის შესრულება.

მცველი შეტევაზე! დიდი ხანია ეს აღარაა მხოლოდ მოულოდნელი ტაქტიკური მანევრი მაღალი კლასის გუნდების შეხვედრისას. მცველები რომ უტევენ, ეს [illegible] მაგრამ საქმეც იმაშია, რომ შეტევაში გადასული [illegible] ვის საქმეს, ისეთ დროს არჩევს საამისოდ და ისე ფლობს ფორვარდის ხერხებს, წინააღმდეგობის გაწევა ძნელზე ძნელი ხდება. იგი ამ მომენტში მცველი აღარაა. მას ამ დროს, იერიშისას, შეღავათს აღარავინ მისცემს, არც თავისიანი, არც მოპირდაპირე. კეთილი ინებოს და ისე ითამაშოს, როგორც ეს თავდამსხმელს მოეთხოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსალიზმს ეკარგება ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა.

სისწრაფე! ესაა ახლა ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი მაღალი კლასის ფეხბურთისა. ტემპი, ტემპი, ინტენსიური თამაში, ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელება დროის მინიმალურ მონაკვეთში. ვინც ნელა თამაშობს — აგებს, ვინც შუა მინდორში ყოვნდება, წამსვე კარგავს მიზნის მიღწევის ყოველგვარ გზას და საშუალებას.

ტოტალური ფეხბურთი, რომლის ბრწყინვალე დემონსტრაცია განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში მოხდა, გულისხმობს სწორედ სისწრაფეს, დინამიკას, უნივერსალიზმს, თამაშის უკიდურესად მაღალ ინტენსიფიკაციას. გუნდის ყველა ათივე მოთამაშე უკლებლივ უნდა მონაწილეობდეს ყოველ კონკრეტულ ეპიზოდში, თითოეული მათგანი დაკავებული იყოს ამ ეპიზოდის ნამდვილი თუ შესაძლო მსვლელობით, ისე იმოქმედოს, რომ მოვლენათა პასიური მოწმე კი არ იყოს, არამედ მისი უშუალო, აქტიური წევრი და მონაწილე.

არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა ჰოლანდიისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრიდან. ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა რომელიღაც მომენტში ზედმეტად შეაჩერა ბურთი და მეტოქის მოტყუება სცადა. იმ წამსვე მისი პარტნიორები უკმაყოფილონი გაკვირვებით შეაცქერდნენ მას — ეს რასა შვრებაო. ისინი უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ, თამაშის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდათ და არაფრით არ მოელოდნენ; რომ დაუგვიანებდნენ გადაცემას. ტოტალური, კომბინაციური ფეხბურთი არ კრძალავს მოთამაშეთა ინდივიდუალურ აქციებს, არ ზღუდავს მათს სოლურ ნომრებს, მაგრამ თუ ეს „ნომერი" საერთო პროგრამიდან ამოვარდა და დისონანსად იქცა რომელიმე „მიზანსცენაში", იგი უსარგებლოა, ზედმეტი და ამიტომ — მავნეც. ამიტომ ვამბობთ, ბრაზილიელები უკან, წარსულისკენ გადაახტნენ თავიანთი 1958 წლის თამაშს და დაუბრუნდნენ იმ დროს, როცა ბურთი ერთ მოთამაშეს ჰქონდა და ის იყო იმ მდგომარეობის განუკითხავი ბატონ-პატრონი. ის თამაშობდა, სხვები უცდიდნენ: აბა, რა მოხდებაო. ამიტომ წერენ ჰოლანდიელებზე — ეს XXI საუკუნის გუნდიაო. იქ ყველაფერი მათემატიკური სიზუსტითაა გამოთვლილი და ფეხბურთელი არასოდეს რჩება მარტო, საკუთარი თავის შემყურე. თამაშობს ყველა ერთად: დაცვაშიც, შეტევაშიც, შუა მინდორშიც.

ინდივიდუალიზმი, იმპროვიზაცია! იგი არასოდეს გადასულა მეორე პლანზე, არ დაჩრდილულა მასირებულ თამაშში. საქმეც ისაა, რომ უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა გონივრულ, კოლექტიურ, ერთობლივ მოქმედებებსაა შერწყმული. განა ბეკენბაუერი, კრუიფი, ბრაიტნერი, ოვერატი, კროლი, ლატო, გადოხა და სხვანი ბრწყინვალე ინდივიდუალისტები არ არიან? მაგრამ თვითმიზნურად არც ერთი არ თამაშობს. შენი პირადი ოსტატობა გამრავლებული პარტნიორების ასეთივე მაღალ ხელოვნებაზე — აი, ესაა თანამედროვე პროგრესული ფეხბურთის დევიზი.

მსოფლიოს X ჩემპიონატი დამთავრდა, მისი პრიზები განაწილდა, ზოგმა დიდება მოიხვეჭა, ზოგიც იმედგაცრუებული დაბრუნდა შინ. ეს ასეა მუდამ. ემოციები და ვნებათაღელვანი დაცხრნენ და ახლა დადგა ამ დიდი შეჯიბრების მდიდარი მასალების შესწავლის, ანალიზის დრო, მისი პრაქტიკული გამოყენების პერიოდი. ერთ დროს, ყველას გვახსოვს, დიდი დავა იყო ახალი ტაქტიკური სისტემების ავკარგიანობის თაობაზე, აპირისპირებდნენ სისტემებს 4—2—4, 4—3—3, 4—4—2 და ა. შ. ახლა ასეთი ციფრობრივი სქემები მხოლოდ ამოსავალი წერტილია იმისა, თუ ვინ როგორ ითამაშებს პრაქტიკულად, როგორ გამოიყენებს თავის შესაძლებლობას, მოწინააღმდეგის სისუსტეებს და შეცდომებს ერთ მთლიანობაში მოქცეულს და არა ძველი წესით: მე ნახევარმცველი ვარ, ჩემს საქმეს ვაკეთებ, შენ — თავდამსხმელი, ემსახურები შენს ზონას. სტრატეგია მთლიანია, ერთიანი, განუყოფელი, ერთიმეორისგან გამომდინარე. დღეს გფრ-ის, ჰოლანდიის, პოლონეთის ფეხბურთი უფრო მძლავრი და ეფექტიანია, ვიდრე ბრაზილიის და არგენტინისა.

ვინც ადგილზე დგას, ის ფაქტიურად უკან მიდის! ეს ცხადად გამოჩნდა X ჩემპიონატის მატჩებში.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 147, 148, 149, 150, 151, 152, 153.



სურათზე: 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, პირველ რიგში, შუაში, ფიფა-ს თასით ხელში — უფროსი მწვრთნელი ჰ. შიონი.







მოლდავეთის სოფელ ტვარდიცის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შედგა და ხორციელდება სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა-მოდერნიზაციის, აგრეთვე, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების სამწლიანი გეგმა.

„მშდ კომპლექსის სამწლედის" პირველ წელიწადს კოლმეურნეობაში აშენდა საცურაო აუზი, სპორტული ბაზები მემინდვრეობის ბრიგადებში, ტირი. სოფლის სამასზე მეტი მცხოვრები მშდ კომპლექსის ნიშნოსანია, ათასამდე ადამიანმა უკვე რამდენიმე ნორმატივი ჩააბარა.

ბრიგადების წლევანდელი სოციალისტური შეჯიბრების პირობებში და პირად ვალდებულებებში მშდ კომპლექსსაც ეთმობა ადგილი. განზრახული აქვთ, რომ რეგულარულ ფიზკულტურულ მუშაობაში, ჯანმრთელობის კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში კიდევ 700 ადამიანი ჩააბან.

სურათებზე: ტრაქტორისტ-მემინდვრეთა მესამე ბრიგადის სპორტულ ბაზაზე; კომკავშირელმა მ. გაიდარჟიმ ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩააბარა ნორმატივები მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანზე; შეჯიბრების სტარტზე.

ბ. კაპნინის ფოტოები. (საკდეს).

# კონტაქტები ღრმავდება

ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად არიან იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები და ქალაქის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები. დელეგაციას ხელმძღვანელობს ლიუბლიანის საქალაქო სკუპშჩინის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე ვ. სტრაშეკი. ჩამოსული არიან, აგრეთვე, სპორტკლუბ „სლოვანის" თავმჯდომარე ე. ბორცნარი და 16 ხელბურთელი.

იუგოსლაველი სპორტსმენები სხვა დროსაც ყოფილან ჩვენს რესპუბლიკაში და მჭიდრო მეგობრული კონტაქტები აქვთ დამყარებული ქართველ ხელბურთელებთან. მათი ამჟამინდელი ვიზიტი ითვალისწინებს არა მარტო სპორტულ სარბიელზე შეხვედრებს, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრების კიდევ უფრო ახლოს გაცნობას.

პირველი მატჩი იუგოსლაველმა ხელბურთელებმა კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედანზე გამართეს შაბათს თბილისის „ბურევესტნიკთან".

თამაში ქართველი ხელბურთელების იერიშებით დაიწყო და ანგარიშიც მათ გახსნეს. მთელი ტაიმის მანძილზე ბურევესტნიკელები წინ იყვნენ და შესვენებისთვის მათი უპირატესობა ორქულიან სხვაობაში გამოიხატა — 12:10.

თამაშის განახლების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. იყო მომენტი, როცა თბილისელები 8 ბურთის სხვაობით იგებდნენ. მატჩის საფინალო სასტვენის ხმაზე ანგარიში იყო 25:20 მასპინძლების სასარგებლოდ. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ვ. ჰკონია, რომელმაც მეტოქის კარში 10 ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ თბილისელთა მეკარემ ა. ხუციშვილმა სამი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

იუგოსლაველი სტუმრები ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ. მატჩები მოეწყობა ბათუმში: 6 აგვისტოს სტუმრებს შეხვდება თბილისის ნაკრები, ხოლო 7 აგვისტოს — ბათუმის გუნდი.

ამსტერდამი, 4 აგვისტო. საბჭოთა დიდოსტატმა გ. ტუკმაკოვმა იუგოსლაველ ბ. ივკოვთან და ჩეხოსლოვაკიელ ვ. იანსასთან ერთად I-III ადგილები გაიყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. თითოეულმა 10 ქულა მოაგროვა. ბოლო ტურში ტუკმაკოვმა წააგო მეორე საბჭოთა დიდოსტატთან ე. გელერთან. მანამდე მან 6 შეხვედრა მოიგო, ხოლო 8 პარტია ყაიმით დაამთავრა. გელერმა 8 ქულით VI-VII ადგილები გაიყო იუგოსლაველ დ. ველიმიროვიჩთან ერთად. ოსტატთა ტურნირში I ადგილზე გავიდა მოსკოველი ს. მაკარიჩევი, რომელიც საგაისოდ დიდოსტატთა ტურნირშია მიწვეული.

ვილნიუსი, 4 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელშიც 14 სპორტსმენი მონაწილეობდა. 9 ქულით I-II ადგილები გაიყვეს მ. პოდგაეცმა და გ. ტიმოშჩენკომ. III-IV ადგილები გაიყვეს მ. გავაშელიშვილმა და ჟ. ჟურავლიოვმა (8,5-8,5 ქულა). გავაშელიშვილმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მანილა, 4 აგვისტო. ფილიპინების დედაქალაქში დაიწყო ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა. 18 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ა. კოჩიევმა პირველ ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ირანელ მ. ბერუზისთან. ტურნირში მონაწილეობს 31 ქვეყნის 32 მოჭადრაკე. შეჯიბრება ორ ეტაპად ეწყობა. შესარჩევი შეხვედრები გაიმართება შვეიცარიული სისტემით (მოეწყობა 7 ტური), შემდეგ კი ათი საუკეთესო ოსტატი განაგრძობს ბრძოლას ჩემპიონის წოდებისთვის.

# ემზადებიან მომავალი მატჩისთვის

სსრ კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა სამატჩო შეხვედრები ორივე ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება. ეს ტრადიციული მატჩები, რომლებიც მორიგეობით ტარდება ხან საბჭოთა ქვეყანაში, ხან ამერიკის შეერთებულ შტატებში, მუდამ მსოფლიოს კრივის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

ბოლო წლებში, როგორც წესი, წარმატებას საბჭოთა მოკრივეები აღწევენ. ამერიკელი სპეციალისტები სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამენ სამოყვარულო კრივის ჩამორჩენის გამო და ცდილობენ როგორმე რევანში აიღონ.

სწორედ ამ მიზნით, ამას წინათ ლას-ვეგასსა და კლივლენდში ჩატარდა სრულიად ამერიკის ჩემპიონატი სამოყვარულო კრივში. ამ ასპარეზობის მიზანი იყო ღირსეული კანდიდატების შერჩევა საბჭოთა სპორტსმენებთან მომავალი მატჩისთვის.

წონითი კატეგორიების მიხედვით აშშ-ს ჩემპიონები გახდნენ: გ. რიჩარდსონი (კლივლენდი), დ. პერმოსილო (დენვერი), ვ. ბერი (ნიუ-იორკი), რ. ლეონარდი (ვაშინგტონი), ქ. ჯექსონი (ლას-ვეგასი), მ. სპინქსი (სენტ-ლუისი), ვ. ჯონსონი (კოლუმბუსი), ა. დავიდსონი (ჩიკაგო), რ. სტიუარტი (ლოველი), ე. ჩემპნაი (ლას ვეგასი).

◆ მესტრე, 5 აგვისტო. იტალიის ამ პატარა ქალაქში გაიმართა დევისის თასის ევროპის „ა" ზონის ფინალური მატჩი იტალიისა და რუმინეთის ჩოგბურთელთა გუნდებს შორის. ტურნირის ფავორიტები — რუმინელები დამარცხდნენ ანგარიშით 2:3. ამ ქვეყნის ნაკრებს ეს 2 ქულა მოუტანა ლიდერმა ი. ნესტასემ.

◆ პრაღა, 5 აგვისტო. უიმბლდონის ტურნირის ზარშანდელი გამარჯვებული ი. კოდეში თავისი ქვეყნის ჩემპიონი ვერ გახდა. ამ ქვეყნის პირველობის ფინალში მას მოუგო ვ. ზედნიკმა — 3:6, 7:5, 6:4.

◆ რატცებურგი (გფრ), 5 აგვისტო. აქ მოეწყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. წარმატებით იასპარეზეს გდრ-ის სპორტსმენებმა, რომლებმაც 5 ოქროს მედალი მოიხვეჭეს. საბჭოთა გუნდიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა ოთხადგილიანი უმესაჭო ნავის ეკიპაჟი, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიგო.

WM 74

## „კიკერის" რეფერენდუმი

ფეხბურთელთა X მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" მოაწყო ანკეტა დასადგენად, თუ ვინ იყო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. რეფერენდუმში მონაწილეობდა 70 ჟურნალისტი, მწვრთნელი, გუნდის კაპიტანი და ვეტერანი ფეხბურთელი.

ყველაზე მეტი ხმა მიიღო ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანმა ი. კრუიფმა. გფრ-ის გუნდის კაპიტანი ფ. ბეკენბაუერი გამარჯვებულს 100 ქულით ჩამორჩა.

აი, როგორ განაწილდა ხმები ამ რეფერენდუმში: 1. კრუიფი (ჰოლანდია) — 372, 2. ბეკენბაუერი (გფრ) — 272, 3. დეინა (პოლონეთი) — 175, 4. ნეესკენსი (ჰოლანდია) — 120, 5. ობლაკი (იუგოსლავია) — 46, 6. ლატო (პოლონეთი) — 37, 7. პერეირა (ბრაზილია) — 35, 8. ბაბინგტონი (არგენტინა) — 28, 9. ჰიონესი (გფრ) — 27, 10-12. ჰელსტრიომი (შვეცია), ფ. მარინიო (ბრაზილია), გადოხა (პოლონეთი) — 26-26, 13-14. ბრაიტნერი (გფრ), მაცოლა (იტალია) — 22-22, 15-16. მიულერი, ოვერატი (ორივე — გფრ) — 15-15, 17. ფოგტსი (გფრ) — 13, 18-19. ა. შარმახი (პოლონეთი), მაიერი (გფრ) — 10-10, 20. ჯაიჩი (იუგოსლავია) — 9, 21-22. რიველინო (ბრაზილია), ედსტრიომი (შვეცია) — 6-6.

## ტელემაყურებლების აზრით...

ტელეგადაცემების საერთაშორისო ასოციაციამ, რომელიც ემსახურებოდა ფეხბურთელთა X მსოფლიო ჩემპიონატს, მოაწყო მსოფლიოს ტელემაყურებლების გამოკითხვა. მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ ერთადერთ შეკითხვაზე: რომელი მატჩი მოეწონათ ყველაზე მეტად.

გამოკითხვამ ტელემაყურებლების აბსოლუტური ერთსულოვნება გამოავლინა. თითქმის ყველამ დაასახელა გფრ-ისა და შვეციის ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც 30 ივნისს ჩატარდა დიუსელდორფში და დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 4:2.

# ევროპა — ჩრდილოეთ ამერიკა

ყოველი წლის ბოლოს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია ატარებს მატჩს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეხვედრას რაიმე ოფიციალური მნიშვნელობა არა აქვს. მისი მიზანია კალათბურთის პოპულარიზაცია ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

სან-ხუანის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ევროპული კალათბურთის სპეციალისტებმა შეადგინეს ძველი სამყაროს ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: ა. ბელოვი, ს. ბელოვი (ორივე — სსრ კავშირი), ბრაბენდერი, ლაიკი (ორივე — ესპანეთი), მარზორატი, მენეგინი (ორივე — იტალია), ჩოსიჩი, შოლმანი (ორივე — იუგოსლავია), კამშირი (საფრანგეთი), გუმასი (საბერძნეთი), იურკევიჩი (პოლონეთი).

მატჩის თარიღი და ადგილი ჯერ უცნობია. ნაკრების წევრები ერთად მოიყრიან თავს შეხვედრამდე 10 დღით ადრე და ჩაატარებენ რამდენიმე ერთობლივ ვარჯიშს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

## აფრიანი ნავით ყინულოვანი ოკეანისკენ

აფრიანი კატამარანი „სტერხი" იაკუტსკიდან ლენის მდინარების ქვალდაკვალ ოკეანისკენ მიემართება. ეკიპაჟში შედიან ძმები ანატოლი, სტანისლავ და ვლადიმერ ოგლევები. უფროსი, ანატოლი, იაკუტსკის კინომრეწვკომბინატის მხატვარი, კატამარანის კაპიტანია. შარშან მან ძრავიანი ნავით ათასამდე კილომეტრი გაიარა ციმბირის მძლავრ მდინარეზე. მდინარე ლენის ულამაზესი ნაპირები სულითა და გულით შეიყვარა ჭაბუკმა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა „თეთრი წეროს" მოგზაურობა მოეწყო.

მეორე ძმამ, სტანისლავმა, ახლახან დაამთავრა კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტი. მესამე, ვლადიმერი, შოფერია. ძმები ლენის ნაპირებზე, იაკუტსკის მახლობლად არიან დაბადებული და ძალიან უყვართ ეს მხარე.

ენთუზიასტებმა 1700 კილომეტრზე მეტი უნდა გაიარონ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე. კატამარანს ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი და ულამაზესი ფრინველის — თეთრი წეროს სახელი დაარქვეს. ეს ფრინველები მხოლოდ მდინარე იაკუტიის ქვემო წელზე ბუდობენ.

მოგზაურებმა უჩვეულო ნავი საკუთარი ხელით გააკეთეს.

ძმები გზადაგზა დაკვირვებებს აწარმოებენ და ყოველი შენიშვნა საბორტო ჟურნალში შეაქვთ. ენთუზიასტები ამ მოგზაურობას იაკუტიაში პირველი ახალგაზრდული გაზეთის „ეღერ კომუნისტის" („ახალგაზრდა კომუნისტი") დაარსების 50 წლისთავს უძღვნიან.

დ. ბუბიაკინი.

იაკუტსკი.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. ტანვარჯიშის კათედრის გამგე — 1 ადგილი (დოცენტი)
2. უფროსი მასწავლებელი ტანვარჯიშის კათედრაზე (მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალობით) — 1 ადგილი
3. ფარიკაობის, თანამედროვე ხუთჭიდის, ველოსპორტისა და სროლის კათედრის გამგე — 1 ადგილი (დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი)
4. უფროსი მასწავლებელი სპორტთამაშობათა კათედრაზე (კალათბურთის სპეციალობით) — 1 ადგილი
5. უფროსი მასწავლებელი მძლეოსნობის კათედრაზე — 1 ადგილი

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 15-დან 18 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი: 22-31-60, 22-00-78.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10748